ლიბერალიზმი, ტოლერანტობა (რჯულთგანურჩევლობა) - სატანის ის საცდური იარაღებია, რითაც ის ცდილობს ჩაანაცვლოს ყოველივე ის, თუ რამ ჭეშმარიტი და ღირებული შემორჩა კაცობრიობას, პირველ რიგში, - რა თქმა უნდა, მართლმადიდებლობა და მასთან შენივთებული ზნეობრიობა. ამ იდეოლოგიების აპოლოგეტებს უმალ გამოიცნობთ ერთი უტყუარი ნიშნით: ყველაზე არალიბერალები სწორედ ლიბერალები არიან, ყველაზე არატოლერანტები სწორედ ტოლერანტობის ბაირაღის ამფრიალებლები არიან, რადგან ეს ცოდვის შვილები კატეგორიულად ვერ იტანენ სწორედ რომ განსხვავებულ აზრს და ცნობიერებას, და ასეთი აზრისა თუ ცნობიერების მატარებლებს უბრალოდ ფიზიკურად ანადგურებენ, ცილს წამებენ, იჭერენ, ციხეებში ამწყვდევენ, დევნიან და რიყავენ. ასეთია ამ იდეოლოგიების დიალექტიკა, ასეთნი არიან მათი მქადაგებელნი. მართლაც, რომ **„მათი თვალები სავსეა სიმრუშით და უძღები ცოდვით; გულხარბნი და ანგარების მოყვარენი აცთუნებენ უმტკიცო სულებს; ესენი არიან ძენი წყევლისა.”(მეორე პეტრესი2.14)**. ამას დავამატებთ: **„იცოდეთ, სოფელი ჯვარს არ აცვამს მას, ვინც ჭეშმარიტებას სიცრუესთან არიგებს, სინათლეს წყვდიადთან და სიკეთეს კი - ბოროტებასთან! სოფელმა ჯვარს აცვა ქრისტე, რადგან იგი არ ათანაბრებდა და არ ურევდა ერთმანეთში სიცრუესა და ჭეშმარიტებას, არ კამათობდა ჭეშმარიტებასთან დაკავშირებით.“** (წმ. ნიკოლოზ სერბი (ველიმიროვიჩი). დღევანდელ დღეს, მითუმეტეს, დაუნდობელია ეს სოფელი, განმსჭვალული სატანისეული სიცრუის სულით, აღჭურვილი მისი იდეოლოგიებით - ლიბერალიზმითა და ტოლერანტობით.